ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3719042

ნომერი: AR1560347

თარიღი : 24.11.2017

გაცემის თარიღი : 14.12.2017

გაცნობის თარიღი : 18.12.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საირმის გორა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯუმბერ კვიტატიანი პ/ნ 62001030867
- ვ. ბაგრატიონის 5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 1 ნოემბრის №3649043 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის

24 ნოემბრის №AR1560347 განცხადებით მომართა ჯუმბერ კვიტატიანმა და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 1 ნოემბრის №3649043 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 1 ნოემბრის №3649043 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, საირმის გორაზე, ი.მ.ა. „ლუჩო“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ: N 01.10.15.026.039, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
განმცხადებელი ითხოვს, 2017 წლის 1 ნოემბრის №3649043 ბრძანებით შეთანხმებული, 24.15 ნიშნულის საპროექტო გეგმის ჩანაცვლებას 2017 წლის 24 ნოემბრის №AR1560347 განცხადებით წარმოდგენილი ჩასწორებული საპროექტო გეგმით.
სამსახურმა გამოიკვლია 2017 წლის 24 ნოემბრის №AR1560347 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა, შეადარა 2017 წლის 1 ნოემბრის №3649043 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. ჩანაცვლდეს, 2017 წლის 1 ნოემბრის №3649043 ბრძანებით შეთანხმებული 25.14 ნიშნულის საპროექტო გეგმა, 2017 წლის 24 ნოემბრის №AR1560347 განცხადებით წარდმოგენილი 25.14 ნიშნულის საპროექტო გეგმით.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 1 ნოემბრის №3649043 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 1 ნოემბრის №3649043 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.